

ენერჯეტიკული ეკონომიკა:

როგორ იყენებს რუსეთი ბუნებრივ ბუნებრივ ბაზსა და ნავთობსადაცხადებს რეკონსტრუქციის ბაზრისთვის



ბიზნესი მუხიბულიშვილი



**ენერგეტიკული დიპლომატია: როგორ იყენებს რუსეთი
ბუნებრივ გაზსა და ნავთობსადენებს რეგიონული
გავლენისთვის**

ავტორი: ბიორგი მუხიგულიშვილი

თბილისი

2024

პუბლიკაციის შესახებ

წინამდებარე პუბლიკაცია შეიქმნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ ასახავს ან წარმოადგენს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის (CSD) ან შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის შეხედულებებსა და მოსაზრებებს.

შინაარსი

შესავალი	1
რუსული გაზის ინდუსტრია	1
რუსული ნავთობის ინდუსტრია	8
რუსეთის ენერგეტიკული გავლენა სამხრეთ კავკასიაზე	15
რუსეთის ენერგეტიკული გავლენა	23
ევროკავშირის ქვეყნებზე	23
დასკვნა	26
ბიბლიოგრაფია	29

შესავალი

ენერგეტიკული რესურსები რუსეთისთვის ერთ-ერთ მთავარ იარაღს წარმოადგენს რეგიონსა და ცადკეურ ქვეყნებზე გავდენების მოსაპოვებლად. რუსეთი, როგორც ბუნებრივი გაზისა და ნავთობის უმსხვილესი მწარმოებელი, აქტიურად იყენებს თავის რესურსებსა და ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურას გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად. როგორია რუსული ენერგეტიკული დიპლომატია, როგორია მისი გაზისა და ნავთობის წარმოების დონე უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, რა ტენდენციებით ხასიათდება ქვეყნის საექსპორტო პოლიტიკა, როგორ ახდენდა რუსეთი გავდენას მასზე ენერგეტიკულად დამოკიდებულ ქვეყნებზე სამხრეთ კავკასიასა და ევროპაში და რა ტაქტიკას იყენებდა ამისთვის, ასევე როგორ გაუმკლავდა ევროკავშირი რუსეთის მიერ პროვოცირებულ ენერგეტიკულ კრიზისებს - უფრო დეტალურად გაეცნობით შემდეგ თავებში.

რუსული გაზის ინდუსტრია


რუსეთი გაზის არსებული რესურსით (47.8 ტრილიონი მ3) მსოფლიოში პირველ ადგილზეა (CIA, Russia). გაზისა და ნავთობის ძირითადი საბადოები თავმოყრილია დასავლეთ^[1], აღმოსავლეთ^[2] და ჩრდილოეთ^[3] ციმბირში, კასპიის ზღვის და შორეულ აღმოსავლეთში, სახადინის კუნძულის მიდამოებში. რუსეთში წარმოებული გაზის (90%) და მისი მარაგის (78%) ყველაზე დიდი წილი დასავლეთ ციმბირის პდატომე, იამალ-ნენეტის (Yamal-Nenets) ავტონომიურ რეგიონზე მოდის. სწორედ აქ მდებარეობს მსოფლიოში მარაგების მოცულობით მე-2 და მე-3 ადგილებზე არსებული Urengoy (11 ტრილიონი მ3), Yamburg (8 ტრილიონი მ3)-ის საბადოები.

[1] Yamburg, Urengoy, Medvezhye, Zapolyarnoye, Samotlor, Priobskoye, Romashkino, Surgut Area Fields.

[2] Chayandinskoye, Kovykta, აღმოსავლეთ ციმბირის ზღვა.


[3] Bovankenovo, Shtokman, Vankor.

გრაფიკი 1 - რუსული გაზის ექსპორტი რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით, 2022 წელი (EIA, ბმული)



საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA, Energy Statistics) მონაცემებით, რუსეთის ენერგომომხარება, ცადკეული ენერგომატარებლების მიხედვით, 1990-2021 პერიოდზე მზარდი ტენდენციით ხასიათდება, ჭარბობს გაზის, ნავთობისა და ქვანახშირის წილი.

გრაფიკი 1 - რუსული გაზის ექსპორტი რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით, 2022 წელი (EIA, ბმული)



რუსეთში ძირითადი საექსპორტო გამსაღწებელიდან ამჟამად ფუნქციონირებს ხუთი, დახურულია სამი და იგეგმება ორის მშენებლობა (EIA, Country Analysis Brief, Russia, 2024).

ცხრილი 1 - რუსეთში საექსპორტო გამსაღწევი (EIA, ბმული)

მილსადენის დასახელება	სიმძლავრე, მლრდ. მ3	სიგრძე, კმ	სტატუსი	საბოლოო დანიშნულების ადგილი
Power of Siberia 1	38	2,993	ოპერირებს	აზია, ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთში.
თურქული ნაკადი (Turkstream)	32	933	ოპერირებს	თურქეთი, შავი ზღვის გავლით. ორი პარალელური მილსადენი.
Urengoy-Pomary-Uzhhorod	28	4,458	ოპერირებს	ევროპა, სლოვაკეთის საზღვრამდე უკრაინის გავლით. 2024 წლის ბოლოს გასდის უკრაინასთან შეთანხმებას ვადა.
ლურჯი ნაკადი (Blue Stream)	16	1,207	ოპერირებს	ევროპა, სლოვაკეთის საზღვრამდე უკრაინის თურქეთი, შავი ზღვის გავლით.
Yamal-Europe and SRTO-Torzhek	21-33	3,862	ნაწილობრივ დახურულია	ევროპა, გერმანიაში ჩრ. ციმბირიდან ბელარუსის და პოლონეთის გავლით.
ჩრდილოეთის ნაკადი-1 (Nord Stream 1)	55	1,223	დახურული	ევროპა, გერმანია. ვიბორგიდან (Vyborg) ბალტიის ზღვით. დაზიანდა 2022 წლის სექტე
ჩრდილოეთის ნაკადი-2 (Nord Stream 2)	55	1,223	დახურული	ევროპა, გერმანია. უსტ-ლუგადან (Ust-Luga) ბალტიის ზღვით. დაზიანდა 2022 წლის სექტემბერში.
Soyuz	25	2,752	დახურული	ევროპა, სლოვაკეთის საზღვრამდე უკრაინის გავლით, დაიხურა 2022 წელს ომის დაწყების შემდეგ.
Power of Siberia 2	50	3,557	დახურული	აზია, ჩრდილო-დასავლეთ ციმბირიდან ჩინეთში. 2030 დაგეგმილია გაზის მიწოდება.
Volkhov-Murman-sk-Belokamenka	40	1,304	დახურული	არქტიკა, მშენებლობის დასრულება დაგეგმილია 2027 წელს.

2024 წლის იანვარში Siberia 1 გამსაღწემა მიაღწია ჩინეთისთვის დღიური მიწოდების რეკორდს. „გაბპრომის“ ინფორმაციით, 2023 წელს აღნიშნული გამსაღწევით ჩინეთს 23 მლრდ. მ3 გაზი მიეწოდა, 47%-ით მეტი წინა წელსთან შედარებით.

ისტორიულად რუსეთი გამსაღწევეს აშენებდა ევროპის ბაზარზე გასასვლელად, თუმცა უკრაინაში შეჭრის შემდეგ აქცენტი არაევროპული მომხმარებლების მიმართულებით გამსაღწევის და LNG-ის ინფრასტრუქტურის გაფართოებაზე აკეთებს. აღსანიშნავია, რომ ეს გამსაღწევი რუსული სახელმწიფო გაზის კომპანიის, „გაზპრომის“ საკუთრებაშია, რომელთა ოპერირებას ძირითადად ის ახორციელებს. „გაზპრომი“ ფლობს ქვეყნის გაზის საბადოების 70%-ზე მეტს, ხოლო დანარჩენი გადანაწილებულია შემდეგ კომპანიებზე: Novatek, Rosneft, Lukoil და მცირე დამოუკიდებელ კომპანიებზე. Novatek-მა 2018 წელს დაასრულა Yamal LNG-ის პროექტი, რომლის სიმძლავრემ 2021 წელს 28 მილიარდ მ3 მიაღწია. ამასთან, 2019 წელს დაიწყო ორ LNG-ის პროექტზე (Arctic LNG2, Ust-Luga) მუშაობა, რომელიც დროში გადავადდა, უკრაინის ომის შედეგად მიღებული სანქციების გამო. Arctic LNG2-ის პროექტი 2023 წლის მიწურულს ამუშავდა და მადევე, 2024 წლის აპრილში, შეჩერდა გაურკვეველი მიზეზების გამო.

Figure 15. Map of major natural gas pipelines and ports in Russia, 2023




Data source: Global Energy Monitor, Reuters, and the Center on Global Energy Policy

2023 წლის მონაცემებით, რუსეთში არსებული ძირითადი LNG-ის პროექტებიდან ოთხი ფუნქციონირებს, ხოლო 2027 წლიდან კიდევ ოთხი შევა ექსპლუატაციაში. ოპერირებაში მყოფი პროექტების ჯამური სიმძლავრე 40 მლრდ. მ3 აღწევს, ხოლო 2027 წლიდან 108 მლრდ. მ3 სიმძლავრე დაემატება.

ცხრილი 2 - რუსეთში LNG-ის ძირითადი პროექტები, 2023 (EIA, ბმული)

LNG-ის პროექტი	სრული სიმძლავრე, მლრდ. მ3	ექსპორტი, მლრდ. მ3	მფლობელი	ექსპლუატაციაში შესვლის წელი და მიმდინარე სტატუსი
Sakhalin-II	13.3	13.3	Gazprom	2009, ოპერირებს
Yamal LNG	28	26	Novatek	2017, ოპერირებს
Cryogas-Vysotsk	0.9	0.9	Novatek	2019, ოპერირებს
Portovaya LNG	2	1.8	Gazprom	2022, ოპერირებს
Arctic LNG 2	27	NA	Novatek	2024-2026, მიმდინარეობს მშენებლობა
Ust-Luga	26.5	NA	Gazprom	2027, მიმდინარეობს მშენებლობა
Arctic LNG 1	27	NA	Novatek	2027, დაგეგმილია
Murmansk LNG	27.8	NA	Novatek	2027, დაგეგმილია


მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს აქვს გაზის უზარმაზარი მარაგი და წარმოების შესაძლებლობები, იგი რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას. ძირითად პრობლემებს წარმოადგენს მოძველებული ინფრასტრუქტურა, რომელიც ინვესს არაეფექტიანობას და უსაფრთხოების პოტენციურ რისკებს, ინვესტიციები მნიშვნელოვანია ახალი საბადოების განვითარების და არსებული ობიექტების შენარჩუნებისთვის. გარდა ამისა, საერთაშორისო სანქციებმა, რომლებიც რუსეთს დაუწესდა, შეზღუდა მისი წვდომა დასავლურ ტექნოლოგიასა და ფინანსებზე, რაც ართულებს ინდუსტრიის განვითარების პროცესს. ასევე გეოპოლიტიკური დაძაბულობა და კონკურენცია გაზის სხვა მწარმოებლებთან უარყოფით გავლენას ახდენს რუსეთზე, რათა უზრუნველყოს და გააფართოლოს თავისი წილი ბაზარზე, განსაკუთრებით ევროპაში, მის ძირითად საექსპორტო ბაზარზე.



რუსული ნავთობის ინდუსტრია

რუსეთი ნავთობის არსებული რესურსით (80 მილიარდი ბარელი, 2021) მსოფლიოში მე-7 ადგილზეა (CIA, Russia). 2023 წელს თხევადი საწვავის ელიური წარმოება 10.8 მლნ. ბარელს შეადგენდა, რაც 2%-ით მცირე იყო 2022 წელთან შედარებით. 2022 წელს რუსეთში ნავთობპროდუქტების მოხმარება 3,6 მილიონი ბარელი იყო.

გრაფიკი 3 - რუსეთში თხევადი საწვავის წარმოება და მოხმარება, მლნ. ბარელი დღეში, 2008-2022 წწ. (EIA, [ბმული](#))



eia Data source: U.S. Energy Information Administration, International Energy Statistics database

„როსნეფტი,“ (Rosneft) რუსული სახელმწიფო კომპანია, უდიდესი ნავთობმწარმოებელი და გადამამუშავებელია ქვეყანაში, რომელმაც წარმოების 33%, ხოლო გადამამუშავების 40% მოდიოდა 2023 წელს.

ცხრილი 3 - რუსული ნავთობკომპანიების წარმოებისა და გადამუშავების სიმძღავრეები, 2023 (EIA, ბმული)


ნავთობკომპანია	ჯამური წარმოება, ათასი ბარელი დღეში	წილი ჯამურ წარმოებაში	გადამუშავების სიმძლავრე, ათასი ბარელი დღეში	წილი ჯამური გადამუშავების სიმძლავრეში
Rosneft	3,490	33%	2,189	40%
Gazprom Neft	1,751	16%	831	15%
Lukoil	1,563	15%	985	18%
Surgutneftegas	1,171	11%	404	7%
Tatneft	577	5%	210	4%
სხვა	2,076	20%	792	15%

რუსეთმა 2023 წლის სექტემბერში აკრძალა ბენზინისა და დიზელის ექსპორტი შიდა ეფექციის გამო, რომელიც გამოწვეული იყო გადამმუშავებელი ქარხნების ინფრასტრუქტურის შეფერხებით და რუბლის გაუფასურებით. ბენზინის ექსპორტის ექვსთვიანი აკრძალვა 2024 წლის მარტში შევიდა ძალაში.

2023 წლის დასაწყისში რუსეთმა, როგორც OPEC+ -ის წევრმა, 2024 წლისთვის ნედრი ნავთობის მოპოვება 9,949 მლნ ბარელი/დღეში დაადგინა, თუმცა მიმდინარე წლის მარტში გამოაცხადა წარმოების ნებაყოფლობითი შემცირება 8,978 მილიონ ბარელამდე დღეში. 2024 წლის პირველ ნახევარში ნავთობგადამმუშავებელი ქარხნების მნიშვნელოვანი ნაწილი შეფერხებებით მუშაობდა, რისი მიზეზიც უკრაინული ღრონების მიერ ინფრასტრუქტურაზე მიტანილი იერიშები და სემონური სარემონტო სამუშაოები იყო.

2023 წელს ნედრი ნავთობის მოპოვების უდიდესი წილი (87%) დასავლეთ ციმბირის საბადოებზე მოდიოდა. 2019 წლიდან 2023 წლამდე ნედრი ნავთობის წარმოების წილი აღმოსავლეთ ციმბირიდან და რუსეთის შორეული აღმოსავლეთიდან გაიზარდა 5%-დან 9%-მდე და შემცირდა ყველა სხვა რეგიონში, რაც ასახავს რუსეთის ენერგეტიკული ვაჭრობისა და ინვესტიციების საერთო ცვადებადობას აზიის ბაზრისკენ.

Figure 4. Russia's crude oil and condensate production by region, 2019–2023
percentage



Data source: Rystad Energy Cube Browser

რუსეთი რვა ძირითადი კლასის ნედლ ნავთობს აწარმოებს. ურალი არის ნედლი ნავთობის ექსპორტის მთავარი წყარო. შედარებით დაბალი ხარისხის ნედლი ნავთობი დასავლეთ ციმბირში და ვოლგა-ურალის რეგიონში იწარმოება. ისტორიულად, ურალის ნავთობის ექსპორტი მიღსაღწეებით ხორციელდებოდა ბაღტიის და შავი ზღვის პორტებამდე შემდგომ დასავლეთის ბაზრებზე გასატანად, მაგრამ არსებული სანქციების ფონზე, მიმართულებამ აღმოსავლეთისკენ გადაინაცვლა.

Transneft-ი მსოფლიოში უმსხვილესი მიღსაღწენის კომპანიაა, რომელიც ახორციელებს რუსეთში წარმოებული ნავთობის 85%-ზე მეტის ტრანსპორტირებას. სახელმწიფო კომპანია ფლობს და მართავს თითქმის 70,000 კმ ნავთობისა და ბუნებრივი აირის მიღსაღწეებს რუსეთში, აზიასა და ევროპაში.


რუსეთის მთავრობა აპირებს გაზარდოს მსუბუქი ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნების ეფექტიანობა^[4] 70%-მდე 2035 წლისთვის. Rosneft-ი ქვეყნის ნავთობის გადამამუშავებელი სიმძლავრის 40%-ს ფლობს, რომლის ეფექტიანობა 2023 წელს 58,6%-ს შეადგენდა. „რუკოილის“, რუსეთის სიდიდით მეორე გადამამუშავებელი კომპანიის ეფექტიანობა 71,2% იყო 2022 წელს.

[4] ნედლი ნავთობის გადამამუშავების პროცესში მიღებული მსუბუქი ნავთობპროდუქტების წილი. თანამედროვე ნავთობ გადამამუშავებელი ქარხნების ეფექტურობა 80%-ს აღწევს.

უკრაინაში ომის შედეგად დაწესებულმა სანქციებმა აიძულეს რუსეთი, რომ ნავთობის და ნავთობპროდუქტების გასაღების ევროპის ბაზრიდან აზიაში გადაენაცვლებინა. აზიაში, სარკინიგზო და მიწსაღებების შეზღუდული გამტარუნარიანობის გამო, გაზარდა საზღვაო გადაზიდვები - ნავთობის 57%-ით (2023 წელი), ხოლო ნავთობპროდუქტების - 80%-ით (2022 წელთან შედარებით) (EIA, Country Analysis Brief, Russia, 2024). 2023 წელს აზია-ოკეანეთის ქვეყნებზე მოდიოდა რუსული ნავთობის ექსპორტის 85% და ნავთობპროდუქტების 37%.


გრაფიკი 5 - რუსული ნედლი ნავთობის იმპორტი რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით, წილი რუსული ნავთობის ექსპორტიდან, 2023 (EIA, [ბმული](#))

Figure 8. Imports of crude oil from Russia by country and region, 2023
percentage



Data source: Global Trade Tracker and Vortexa
Note: Individual percentages might not add to the total because of rounding.

გრაფიკი 6 - რუსული ნავთობპროდუქტების იმპორტი რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით, წილი რუსული ნავთობპროდუქტების ექსპორტიდან, 2023 (EIA, [ბმული](#))



ჩინეთმა 2023 წელს რუსეთიდან 2,2 მლნ ბარელი/დღეში ნავთობი შეისყიდა, რაც 24%-ით მეტია 2022 წელთან შედარებით (1,7 მლნ ბარელი/დღეში).

Druzhba მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი ნავთობსადენია, რომელიც ევროპას დასავლეთ ციმბირიდან აწვდის ნედრ ნავთობს. Transneft-ის მიხედვით, რომელიც მართავს მილსადენს, 2023 წელს მილსადენით მიწოდებული ნავთობი 60%-ით შემცირდა წინა წლებთან შედარებით, თუმცა რუსეთის პორტებისთვის მიწოდებული ნავთობის მოცულობა გაიზარდა 7,2%-ით.

2022 წელს ევროკავშირის რუსეთზე დაწესებული სანქციებისგან გათავისუფლებული იყო ნავთობის იმპორტი რუსეთიდან Druzhba-ს მილსადენით, რომლითაც ნავთობი მიეწოდებოდა ევროპის ცენტრულ ქვეყნებს, მათ შორის: ჩეხეთს, გერმანიას, პოლონეთს, სლოვაკეთს და უნგრეთს. 2023 წლის ივნისში ევროკავშირის მიერ მიღებული სანქციების მე-11 პაკეტი გავრცელდა მილსადენის ჩრდილოეთ განშტოებაზე, რომელიც აწვდიდა ნავთობს გერმანიასა და პოლონეთს. ყაზახეთი აგრძელებს ნავთობის ექსპორტს რუსეთის გა-

ვდით ვეროპის ბაზარზე, დაახლოებით 24,000 ბარელი ნავთობის ტრანზიტი მოცემული სისტემის გავლით. 2023 წელს ბრანდინამ და საუდის არაბეთმა ჩაანაცვლეს საფრანგეთი და გერმანია, როგორც რუსეთის უმსხვილესი დიზელის იმპორტიორები. თურქეთი დარჩა რუსული დიზელის მთავარ იმპორტიორად 2022-2023 წლებშიც.

ცხრილი 4 - რუსეთის ძირითადი ნავთობსადენები, 2023 (EIA, [ბმული](#))

ნავთობსადენი	სიმძლავრე, ათასი ბარელი დღეში	სიგრძე, კმ	სტატუსი	დამატებითი ინფორმაცია
Caspian Pipeline Consortium (CPC)	1,470-1,670	1,513	ოპერირებს	ყაზახეთის თენგიზის ნავთობ საბადოდან რუსეთის ნოვოროსისკის პორტამდე.
Eastern Siberia-Pacific Ocean 1 and 2 (ESPO-1 / ESPO-2)	600-1,610	4,812	ოპერირებს	რუსეთის, აღმოსავლეთ ციმბირიდან ჩინეთამდე.
Druzhba	120-1,490	5,100	ნაწილობრივ ოპერირებს	ცენტრალური რუსეთიდან ცენტრალურ ევროპამდე ბელარუსის გავლით. ამჟამად ყაზახური ნავთობი გადაიზიდება.
Baltic Pipeline System 2 (BPS-2)	720	1000	ოპერირებს	აკავშირებს Druzhba ნავთობსადენს Bryansk-ის ოლქთან.
Baltic Pipeline System 1 (BPS-1)	120-560	1,335	ოპერირებს	აკავშირებს Yaroslavl და Primorsk ოლქებს.
Atasu-Alashankou	400	965	ოპერირებს	აკავშირებს Yaroslavl და Primorsk ოლქებს.
რუსეთ-ჩინეთის ნავთობსადენი 1	300	933	ოპერირებს	აკავშირებს ESPO-1 და ESPO-2
რუსეთ-ჩინეთის ნავთობსადენი 2	300	950	ოპერირებს	აკავშირებს ESPO-1 და ESPO-2, პარალელურად პირველი ნავთობსადენისა.



ძირითადი ნავთობსადენები ასევე წარმოდგენილია რუკაზე, ქვემოთ.

სურათი 3 - რუსეთში ძირითადი ნავთობსადენების და პორტების რუკა, 2023 (EIA, [ბმული](#))

Figure 11. Map of major crude oil pipelines and ports in Russia, 2023



Data source: Global Energy Monitor, Reuters, Bruegel, and the Centre for Research on Energy and Clean Air

რუსეთის ენერგეტიკული გავლენა

სამხრეთ კავკასიაზე

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების - საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება განსხვავებულია და ბოლო 15 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუ საქართველომ წარმატებით მოახდინა რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირება, სომხეთი ჯერ კიდევ რჩება კრიტიკულად დამოკიდებული მასზე, ხოლო აზერბაიჯანი თვითკმარია - როგორც გაზის, ისე ნავთობის რესურსით.


საქართველო 2006 წლამდე სრულად რუსულ გაზზე იყო დამოკიდებული, თუმცა იანვრის ყველაზე ცივ პერიოდში, რუსეთის მიერ მოწყობილი საბოტაჟის შემდეგ, მან მოახერხა და ჩაანაცვლა ის აზერბაიჯანული გაზით. 2006-2007 წლებში დაგეგმილი იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური გამსადენის ექვლუატაციაში შესვლა, რაც რუსეთის მიზნებს ეწინააღმდეგებოდა. სწორედ მამთრის ყველაზე ცივი პერიოდის დასაწყისში რუსეთის ტერიტორიაზე მოხდა საქართველოსთან დამაკავშირებელი ორი გამსადენის და მაღალი ძაბვის ელექტროსადენის ერთდროული აფეთქება (გორიტაშვილი, 2012), რომელთა აღდგენას რუსეთი არ ჩქარობდა და არც ქართველ ტექნიკოსთა ჯგუფს აძლევდა მუშაობის საშუალებას/უშვებდა ადგილზე. ამ ყველაფერს წინ უძღოდა საქართველოსთვის მიწოდებულ გაზზე ე.წ. „პოლიტიკური ფასის“ რევიზიაში არსებულ ფასზე 30%-ით მეტის დაწესება. ყოველივე ეს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს მოასწავებდა საქართველოსთვის, თუმცა მან წარმატებით შეძლო მოკლევადიან პერიოდში აზერბაიჯანულ და ირანულ გაზზე გადართვა. მოგვიანებით, 2017 წელს, რუსეთმა საქართველოზე გამავალი ჩრდილოეთ-სამხრეთის გამსადენით სომხეთზე გაზის გატარების პირობებზე განაახლა მოლაპარაკებები. განხილვის ძირითადი თემა ტრანზიტის საფასურის ცვლილება იყო - ნატურით ანაზღაურება შეცვლილიყო მონეტარულით, რაც საქართველოსთვის პირობების გაუარესებას ნიშნავდა. ერთი-ერთზე მოლაპარაკებები დახურულ ფორმატში გაიმართა „გაპრომის“ წარმომადგენლებთან, რომელშიც ქართულმა მხარემ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართულობა არ უზრუნველყო. შესაბამისად, ახალი ტრანზიტის პირობები საქართველოსთვის მნიშვნელოვნად გაუარესდა ძველთან შედარებით, როგორც ეკონომიკური, ისე ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით (WEG: რუსეთთან შეთანხმება ერთი-ერთზე ფორმატში არ უნდა წარმართულიყო, 2017).

2023 წელს საქართველოს ბაზარზე ბუნებრივ გაზზე მოთხოვნამ 2,966 მლნ კუბ.მ შეადგინა, საიდანაც რუსეთის წილი 20% (596 მლნ. მ3) იყო. ბოლო წლების განმავლობაში რუსეთიდან ბუნებრივი გაზის იმპორტის ზრდა^[5] განპირობებულია ქვეყნის შიგნით ბუნებრივი

[5] 2019-2023 პერიოდში რუსეთიდან გაზის იმპორტი 3.7-ჯერ გაიზარდა, 162 მლნ. მ3-დან 596 მლნ. მ3-მდე. (სემევი)

გამის გაზრდილი მოხმარებით, კერძოდ, პიკური დღიური მოხმარებების მაღალ ნიშნულზე ყოფნით (15-20 მლნ.კუბ.მ-ის ფარგლებში), რაც რეგიონების გაბიფიცირების შედეგია. ამასთან, აზერბაიჯანის მხრიდან ბუნებრივი გამის მიღების პუნქტების დაკონტრაქტებული სიმძლავრეები ვერ უზრუნველყოფდა შიდა მოხმარების სრულად დაკმაყოფილებას და საჭირო გახდა დამატებითი ბუნებრივი გამის შემოტანა. რუსული გამის წილის მრდა საქართველოსთვის საფრთხის შემცველია, რომლის გათვადისწინებაც კრიტიკულია 2006 წლის კრიზისის გამოცდვებით.

გრაფიკი 7 - საქართველოში ბუნებრივი გამის მოხმარება სექტორების მიხედვით, მლნ. მ³, 2015-2023 (სემევი, ბმული)



საქართველოს გამის ტრანსპორტირების სისტემას გააჩნია იმპორტის ოთხი პუნქტი:

1. რუსეთიდან შემომავალი გამსადენის („მოზდოკი-საგურამოს“) გამტარუნარიანობა შეადგენს 20 მლნ მ³/დღ-ს. აღნიშნული გამსადენით გაბი მიეწოდება სომხეთს;
2. აზერბაიჯანიდან შემომავალი გამსადენის („ყაზახი-საგურამო“) გამტარუნარიანობა შეადგენს 10 მლნ მ³/დღ-ს;
3. აზერბაიჯანიდან შემომავალი სატრანზიტო გამსადენის („სამხრეთკავკასიური მიღსადენი“) საპროექტო გამტარუნარიანობაა 64 მლნ მ³/დღ, თუმცა საქართველოს ტრანსპორტირების სისტემაზე აქვს ერთი მიერთების წერტილი, რომლის გამტარუნარიანობა შეადგენს 5.5 მლნ მ³/დღ-ს;
4. სომხეთში გამავალი მაგისტრალური გამსადენის რევერსული ჯამური გამტარუნარიანობა შეადგენს 3.14 მლნ მ³/დღ-ს.

სურათი 4 - საქართველოში ბუნებრივი გაზის მიღების პუნქტები




სამხრეთ კავკასიური გამსადენით, ბუნებრივი აირის გატარების სანაცვლოდ, საქართველო ორი კონტრაქტით შეღავათიან ფასად იღებს გაზს (დაახლოებით 77-84\$/1000 მ3), რაც ჯამური მოხმარების 40%-ს აღემატება. მათგან უმთავრესი „ოფციური“ გაზია. მისი მოცულობა ყოველწლიურად ამერბაიჯანიდან თურქეთში გატარებული გაზის 5%-ს შეადგენს, დამატებითი გაზის მოცულობა კი ფიქსირებულია და ყოველწლიურად 500 მლნ მ3-ია. გასათვალისწინებელია, რომ სამხრეთ კავკასიური გამსადენით გაზის ტრანზიტი ყოველწლიურად გაიზრდება, რაც დადებითად აისახება ოფციური გაზის მოცულობაზეც, თუმცა 2026 წელს დამატებით გაზის კონტრაქტს გასდის ვადა და ეს დანაკლისი ნაწილობრივ ოფციურით დაკომპენსირდება. საქართველო ამერბაიჯანიდან ასევე შეიყიდის გაზს კომერციულ ფასად.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში გაზის მოხმარება სემონურობით ხასიათდება - მამთარში 4-5-ჯერ მეტ გაზს მოვიხმართ ვიდრე ბათუმში (სემევი, წლიური ანგარიში, 2024). ამასთან, ქვეყანას არ გააჩნია საკუთარი გამსაცავი ან სხვა დამაბადანსებელი მექანიზმი, გარდა ამერბაიჯანთან გაფორმებული ხელშეკრულებისა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მოთხოვნას სემონურად „სოკარი“ აკმაყოფილებს დამატებითი გადასახადის სანაცვლოდ.

საქართველოში ნავთობპროდუქტების ბაზარი დივერსიფიცირებულია და იმპორტი რამდენიმე ქვეყნიდან ხორციელდება. 2023 წელს 1.7 მლრდ. ლდარის ღირებულების ნავთობპროდუქტების იმპორტი განხორციელდა (საგარეო ვაჭრობის პორტალი). მასში ყველაზე დიდი წილით შემდეგი ქვეყნები გამოირჩეოდნენ: რუსეთი (44%), აზერბაიჯანი (23.5%), ბურგარეთი (5.6%), თურქმენეთი (5%), თურქეთი (3.3%), საბერძნეთი (2.1%) და დანარჩენი 15% 50-ზე მეტი ქვეყნიდან.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთიდან ნავთობპროდუქტების იმპორტს საქართველოს მოხმარებაში მნიშვნელოვანი წილი უკავია, მიმდინარე ომის პირობებში, რუსეთიდან იმპორტის შეზღუდვის შემთხვევაში, დეფიციტის დაბალანსება სხვა ქვეყნებიდან იმპორტის გაზრდით არის შესაძლებელი.


გრაფიკი 8 - ნავთობპროდუქტების იმპორტი რუსეთიდან, 2016-2021 (WEG, [ბმული](#))



გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ნავთობპროდუქტების სტრატეგიული რეზერვი არ გააჩნია. ასეთი რეზერვების არსებობა ქვეყანას ევროკავშირის 2009/119/EC დირექტივით ვვადება და მნიშვნელოვანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის.

სომხეთი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ყველაზე დამოკიდებულია რუსულ ენერგორესურსებზე. საქართველოს მსგავსად მასაც არ გააჩნია მნიშვნელოვანი რაოდენობის საკუთარი წიაღისეული ენერგორესურსები. გაზი (56%) და ნავთობპროდუქტები (21%) (სომხეთი, 2021 წლის ენერგეტიკული ბაზანსი), რომლებსაც ყველაზე დიდი წილი აქვთ ქვეყნის ენერგომომხმარებაში, სრულად იმპორტირებულია. 2021 წელს სომხეთმა 2,449 მლნ. მ3 ბუნებრივი აირი მოიხმარა (Gazprom Armenia), საიდანაც 87,7% რუსეთიდან შევიდა საქართველოზე გამავალი ჩრდილოეთ-სამხრეთის გამსადენით. დარჩენილი ნაწილი იმპორტირებული იყო ირანიდან, რომელიც ვლადიკავკასიის ნარმოებისთვის მოიხმარება და „სვოპის შეთანხმებით“ (ბარტერიტ) ისევ ირანს მიეწოდება. ამჟამად რუსეთიდან იმპორტირებული გაზის ფასი საზღვარზე 165 აშშ დოლარია 1,000 კუბურ მეტრზე, როცა მისი ფასი 270 დოლარი იყო მანამდე, სანამ რუსული Gazprom სრულად დაეუფლებოდა ქვეყნის შიდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას (Gazprom Armenia) 2014 წელს (IEA, Armenia Energy Profile).

სურათი 5 - სომხეთის გაზის გადამცემი სისტემა (Armenia Gazprom, [ბმული](#))



რუსეთმა მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩადო Abovyan-ის გაზის მიწისქვეშა საცავის განახლებაში, რომლის სიმძღავრეც 2016 წლისთვის 135 მლნ. მ3-მდე გაიზარდა. გამსაყავი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის, ამასთან რუსეთის ინტერესებშიც შედის სომხეთის სრულად მასზე დამოკიდებულება და მისი ენერგეტიკული თანამშრომლობის შესუსტება ირანთან და საქართველოსთან.

რუსეთის მიერ Gazprom Armenia-ს მეშვეობით სომხეთის გაზის ინფრასტრუქტურის კონტროლის მასშტაბი მიუთითებს უფრო ფართო სტრატეგიულ გავლენაზე. ეს დომინირება არა მხოლოდ ადგენს ფასებსა და მიწოდების პირობებს, არამედ სომხეთის სუვერენიტეტსა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე გავლენის შესაძლებლობებსაც აძლიერებს.

სომხეთი ნავთობპროდუქტებს სრულად გარე წყაროებიდან იღებს, რომელთა ფასიც საერთაშორისო ბაზრებზე დგინდება. ქვეყანაში იმპორტირებული ნავთობპროდუქტების ძირითადი მომწოდებლები რუსეთი (88%) და ირანი (12%) არიან, მცირე რაოდენობით ერაყი, ასევე არაბთა გაერთიანებული ემირატები და რუანდა (Petroleum Gas in Armenia). 2022 წელს სომხეთმა 500 მილიონ დოლარამდე ღირებულების ნავთობპროდუქტები შეიძინა.

სომხეთის მთავრობა მიზნად ისახავს ენერჯის წყაროების დივერსიფიკაციას, შიდა რესურსების განვითარებას და გარე წყაროებზე დამოკიდებულების შემცირებას, შედეგად კი ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებას.


პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი ბოლო პერიოდში ახორციელებს სერიოზულ ცვლილებებს სომხეთის საგარეო პოლიტიკაში, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებას და დასავლეთთან თანამშრომლობის გაღრმავებას. ეს პოლიტიკა მნიშვნელოვნად აისახება სომხეთის ენერგეტიკული უსაფრთხოების და სამხედრო-პოლიტიკური კურსის მიმართულებითაც. ფაშინიანის პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში მიმართულია სომხეთის სუვერენიტეტის და უსაფრთხოების გაძლიერებისკენ, რაც მოიცავს როგორც სამხედრო-პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ და დიპლომატიურ ასპექტებს.

აზერბაიჯანი გაზით და ნავთობით ყველაზე თვითკმარი და დამოუკიდებელია რუსეთისგან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის. ქვეყანა ნავთობის და გაზის ნეტ-ექსპორტიორია, რომლის წილაც 90%-ზე მეტს შეადგენს მთლიან ექსპორტში (IEA, Azerbaijan Energy Profile, 2023). 2022 წელს აზერბაიჯანმა 35 მილიარდი მ3 გაზი აწარმოა და 32.7 მილიონი ტონა ნავთობი, აქედან ექსპორტზე გაიტანა 22.6 მლრდ. მ3 გაზი (65%) და 26.6 მლნ. ტონა ნავთობი (81%). ნახშირწყალბადების მნიშვნელოვანი წარმოების გამო, აზერბაიჯანს აქვს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ენერგეტიკული თვითკმარობის კოეფიციენტი, რომლის წარმოება თითქმის ოთხჯერ აღემატება მოთხოვნას.

CIA-ის 2021 წლის მონაცემებით, აზერბაიჯანი 7 მილიარდ ბარელ ნავთობის, 1.7 ტრილიონ მ3 გაზის მარაგებს ფლობს (CIA, Azerbaijan). ნავთობისა და გაზის მარაგების უდიდესი წილი კასპიის ზღვაში, შაჰდენიზის (Shah Deniz), აზერი-ჩირალი-გიუნაშლისა (ACG) და აბშერონის (Absheron) ნაწილში მდებარეობს.

2021 წლის დასაწყისში თურქმენეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც გულისხმობს თანამშრომლობას ორ ქვეყანას შორის კასპიის ზღვის საზღვრების გასწვრივ ღრმანყროვანი ბლოკის ერთობლივი გამოკვლევისთვის, რომელიც ადრე სადავო საკითხს წარმოადგენდა. შეთანხმება, სავარაუდოდ, მოიზიდავს უცხოურ ინვესტიციებს დოსტდუკის საბადოზე საძიებო ბურღვისა და განვითარებისთვის (Upstream, 2021).

სურათი 6 - აზერბაიჯანში ნავთობისა და გაზის სადენები და მარაგები, 2022 (IEA, [ბმული](#))



Source: State Oil Company of the Republic of Azerbaijan (2022).

აზერბაიჯანის ნავთობის უმეტესი ნაწილის ექსპორტი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მიღსადენით (BTC) ხორციელდება. მიღსადენით, საშუალოდ, დღეში 1,2 მილიონი ბარელი ნედრი ნავთობი გადაიზიდება, რომლებიც იწარმოება აზერბაიჯანში, თურქმენეთში, რუსეთსა და ყაზახეთში.

ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენი, რომელიც 1996 წლიდან ფუნქციონირებს, აკავშირებს ბაქოს სანგანჩადის ტერმინალს (კასპიის ზღვა) რუსეთის ნოვოროსიისკის ტერმინალთან (შავ ზღვა). მისი სიგრძეა 1,330 კმ და დღეში 105,000 ბარელი ნედრი ნავთობის გადაზიდვაა შესაძლებელი. „სოკარი“ (SOCAR) მართავს ნავთობსადენის აზერბაიჯანულ მონაკვეთს, ხოლო - „ტრანსნეფტი“ რუსულ მონაკვეთს. მიღსადენის ექსპლუატაცია 2014 წელს შეჩერდა და 2015 წელს განახლდა დაბალი დატვირთვით.

აზერბაიჯანის ერთადერთი გადაამამუშავებელი ქარხანა 2022 წელს აწარმოებდა დაახლოებით 6,5 მილიონ ტონა ნავთობპროდუქტს. ქარხანა სახელმწიფო კომპანია SOCAR-ის მფლობელობაშია, ასევე მის საკუთრებაშია გაზის გამანაწილებელი და მიმწოდებელი ინფრასტრუქტურაც. აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის ფონდი (SOFAZ) მართავს ნავთობისა და გაზის ძირითად აქტივებს.

აზერბაიჯანი გაზით საქართველოს, თურქეთსა და ევროპის ბაზრებს ამარაგებს სამხრეთ კავკასიური მიღსადენის (SCP) საშუალებით.

2007 წლამდე აზერბაიჯანი გაზის იმპორტს რუსეთიდან Hajigabul-Shirvanovka-Mozdok-ის (1983 წლიდან) გამსადენით ახორციელებდა, სანამ „შაჰდენიზის“ საბადო ამუშავდებოდა. გამსადენის სიმძღავრე 10 მილიარდ მ3 გაზს შეადგენს წლიურად. მისი სიგრძე 680 კმ-ია, საიდანაც 200 კმ აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა. ამ მიღსადენის ოპერატორები არიან „სოკარი“ და „გაზპრომი“ (რუსეთი) (Gas Transportation).

რუსეთმა, მიმდინარე ომის და არსებული სანქციების გამო, მნიშვნელოვნად გაზარდა აზერბაიჯანში გაზისა და ნავთობის ექსპორტი, რომელიც ორივე ქვეყნისთვის მომგებიანია. ერთი მხრივ, რუსეთმა გადმოამისამართა ევროპის ბაზრისთვის განკუთვნილი გაზის და ნავთობის ნაწილი და, მეორე მხრივ, აზერბაიჯანი საკუთარ საჭიროებას რუსული რესურსებით დაიკმაყოფილებს, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში და გაზრდის ადგილობრივი გაზისა და ნავთობის ექსპორტს ევროპის ბაზარზე. ამასთან, რუსული ნავთობის გიგანტი, „დუკოილი“ ფლობს 20%-იან წილს „შაჰდენიზის“ გაზის საბადოში (Shah Deniz project).

აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის ენერგეტიკული ურთიერთობა ხასიათდება ურთიერთდამოკიდებულებითა და სტრატეგიული თანამშრომლობით, რასაც მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს ორივე ქვეყნის გაზისა და ნავთობის სექტორებში. აზერბაიჯანი ცდილობს დააბადანსოს რუსეთზე დამოკიდებულება საერთო ინტერესებით, რათა არ გაზარდოს რისკები ქვეყნისთვის როგორც ენერგეტიკული უსაფრთხოების, ისე ეროვნული უსაფრთხოების მიმართულებით.

რუსეთის ენერგეტიკული გავლენა

ევროკავშირის ქვეყნებზე

ევროპის ენერგეტიკული დამოკიდებულება რუსეთზე, განსაკუთრებით ნავთობსა და გაზზე, იყო კონტინენტის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ეკონომიკური სტაბილურობის კრიტიკული ასპექტი ბოლო ოცი წლის განმავლობაში. ისტორიულად რუსეთი იყო ევროპის ბუნებრივი გაზის ერთ-ერთი უმსხვილესი მიმწოდებელი, რომელიც ევროკავშირის გაზის იმპორტის 40%-ზე მეტს იკავებდა ბოლო წლებში მასზე დაწესებულ სანქციებამდე. ეს ურთიერთდამოკიდებულება თანდათან გაიზარდა და მიაღწია იმ დონეს, სადაც რუსეთმა შეძლო მისი პოლიტიკურ იარაღად გამოყენება - ჯერ 2009 წელს უკრაინასთან სატრანზიტო დავისას^[6], შემდგომში, 2014 წელს, ყირიმის ოკუპაციისას^[7] და 2022 წელს უკრაინაში შეჭრის დროს^[8]. ამ კრიზისებმა ნათლად წარმოაჩინა ევროკავშირის მოწყვლადობა ენერჯის მიწოდების უსაფრთხოებაში და ხაზი გაუსვა ენერჯის წყაროების და მარშრუტების დივერსიფიკაციის საჭიროებას.

გრძელვადიანი კონტრაქტები არის სტრატეგიული ინსტრუმენტი, რომელსაც რუსეთი ეფექტიანად იყენებს ქვეყნების მასზე ენერჯოდამოკიდებულების გასაზრდელად. ეს კონტრაქტები ხშირად მოიცავს პირობას „მიიღე ან გადაიხადე“, რაც უზრუნველყოფს რუსეთისთვის სტაბილურ შემოსავალს და, ამავდროულად, ზღუდავს იმპორტიორი ქვეყნების ენერგეტიკულ მოქნილობას, გადავიდნენ ალტერნატიულ მომწოდებლებზე ან ენერჯის წყაროებზე. მაგალითად, გერმანიის ჩრდილოეთის ნაკადის (Nord Stream) მიღსადენის გარიგებები მოიცავდა გრძელვადიან ხელშეკრულებებს „გაბპრომსა“ და ევროპულ კომპანიებს შორის, რაც უზრუნველყოფდა გაზის პირდაპირ მიწოდებას გერმანიისთვის სატრანზიტო ქვეყნების - უკრაინის და პოლონეთის გვერდის ავლით. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა მის გეოპოლიტიკურ ბერკეტებს როგორც სატრანზიტო, ისე იმპორტიორ ქვეყნებზე.

[6] 2009 წელს რუსეთსა და უკრაინას შორის გაზის ფასის და გადაუხდედი დავადიანების გამო დავის შედეგად გაბპრომმა შეუწყვიტა გაზის მიწოდება უკრაინას. იმის გამო, რომ უკრაინა არის რუსული გაზის მთავარი სატრანზიტო ქვეყანა ევროპაში, ამ შეფერხებამ გამოიწვია მიწოდების მნიშვნელოვანი დეფიციტი ევროკავშირის მასშტაბით, რამაც მიღიარდობით მარადი მიაყენა ბურგარეთს, სლოვაკეთს და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს.

[7] 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, ევროკავშირმა რუსეთს სანქციები დაუწესა, რამაც გამოიწვია საპასუხო ზომები, რაც მოიცავდა გაზის მიწოდების შეწყვეტის მუქარასაც.

[8] 2022 წლის თებერვალში რუსეთის შეჭრამ უკრაინაში ენერგეტიკული კრიზისი გაამწვავა. რუსეთმა მნიშვნელოვნად შეამცირა გაზის ექსპორტი ევროკავშირში, რამაც გამოიწვია ენერჯის ფასების ზრდა.

2009 წლის ენერგეტიკული კრიზისის შემდეგ ევროკავშირმა დაიწყო ზომების მიღება, გაეძლიერებინა წვერი სახელმწიფოების და ერთობლივი ენერგეტიკული უსაფრთხოება. 2009 წელს მიიღო **შესაბამე ენერგეტიკული პაკეტი**, რომლის მიზანიც იყო შეექმნა ერთიანი, ინტეგრირებული და კონკურენტული ენერგეტიკული ბაზარი ევროკავშირის მასშტაბით. 2015 წელს ევროკომისიამ მიიღო **ენერგეტიკული კავშირის სტრატეგია (Energy Union Strategy)**, რომელიც მიზნად ისახავდა, (რომ) კიდევ უფრო უსაფრთხო, მდგრადი და კონკურენტული გაეხადა ენერგობაზრები. სტრატეგია მოიცავდა ხუთ ძირითად განზომილებას: ენერგეტიკული უსაფრთხოება, სრულად ინტეგრირებული შიდა ენერგეტიკული ბაზარი, ენერგოეფექტურობა, ეკონომიკის დეკარბონიზაცია და კვლევა, ინოვაცია და კონკურენტუნარიანობა. სტრატეგია ასევე მოიცავდა რიგ მიმართულებებს: გამისა და ნავთობის მიწოდების წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიკაციას, კრიზისების მართვის გაუმჯობესებასა და სოლიდარობის მექანიზმის ჩამოყალიბებას, ენერჯის სტრატეგიული მარაგების შექმნას, ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურის განვითარებას, შენობების განახლება, ენერგოეფექტურ და განახლება, სუფთა ტექნოლოგიების ხელშეწყობის პოლიტიკებს. ამას მოყვა დირექტივებისა და რეგულაციების **მეთხე პაკეტის „სუფთა ენერჯია ყველა ევროპელისთვის“** მიღება 2018 წელს, ხოლო 2019 წელს ყველაზე ამბიციური სტრატეგიის, **მწვანე შეთანხმების** დამტკიცება. ამან მნიშვნელოვნად დააჩქარა დაბადნახშირბადიან ეკონომიკაზე გადასვლა, ხედი შეუწყო ენერჯის განახლებადი წყაროების, ჭკვიანი ქსელებისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითარება-დანერგვას.

2022 წელს უკრაინაში რუსეთის შეჭრას მოჰყვა სანქციების რიგი პაკეტები და ახალი ენერგეტიკული გეგმა - **REPowerEU**, რომელიც პირდაპირ მოუწოდებდა წვერი სახელმწიფოებს, შეემცირებინათ რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება, გაეზარდათ გათხევადებული ბუნებრივი აირის (LNG) იმპორტი და ენერგოეფექტურობისა და განახლებადების სამიზნე მაჩვენებლები. ევროკავშირმა 2022 წელსვე მიიღო **გამსაცავების შესახებ რეგულაცია (EU)2022/1032**, რომელიც აწესებდა ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მინიმალური მაჩვენებლებს, სოლიდარობის მძღავრ მექანიზმს და გამის ერთობლივი შესყიდვის წესს.

გარდა ამისა, ევროკავშირი აქტიურად უწყობდა ხელს ისეთი დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას, როგორებიცაა: სამხრეთ გამის დერეფანი, არსებული LNG-ის ტერმინალების განახლება და ახლის მშენებლობა; გააფორმა ხელშეკრულებები დამატებითი გამის იმპორტზე ნორვეგიასთან, ადჟირთან, კატართან და მნიშვნელოვნად გაზარდა იმპორტი აშშ-დან; დაიწყო მუშაობა შუა დერეფნის კონცეფციის გაფართოებაზე, რომელიც შესაძლებელს გახდის არა მხოლოდ წიაღისეული, არამედ განახლებადი ენერგორესურსების ტრანსპორტირებას ცენტრალური აზიიდან და სამხრეთ კავკასიიდან ევროპაში (Mukhigulishvili, 2023). მიუხედავად ამ ძადისხმევისა, რუსული ენერგეტიკისგან თავის

დალწევა ეტაპობრივი და რთული იყო, არსებული ინფრასტრუქტურის მასშტაბისა და რიგი გამონწვევების გათვალისწინებით. ევროკავშირმაც გამოიყენა რუსეთის ეკონომიკის მასზე კრიტიკული დამოკიდებულება და სანქციების პაკეტი სწორედ ამ ბერკეტების გამოყენებით გააძლიერა.

2022 წლის ბოლოს, „დიდი შვიდიანის“ (G7) ქვეყნებმა, ევროკავშირმა და ავსტრალიამ, სანქციების ფარგლებში, დაანესეს რუსეთის ნავთობის და ნავთობპროდუქტების შესყიდვის ფასის ზედა ზღვარი. 2024 წლის თებერვალში ამ ქვეყნებმა გამოსცეს გაფრთხილება. მათ აღმოაჩინეს, რომ ზოგიერთი პირი და კომპანია ცდილობდა ამ ფასის შემლუღების გვერდის ავლით ვაჭრობას ყარბი დოკუმენტების გამოყენებით, ნავთობის კომპლექსური მარშრუტებით ტრანსპორტირებით, ანონიმურ მფლობელობაში არსებული გემების გამოყენებით და ა.შ. საერთო ჯამში, გაფრთხილებამ ხელი შეუწყო ფასის შემლუღების აღსრულების გამკაცრებას და სანქციების გვერდის ავლის რისკების შემცირებას, გაზარდა ინფორმირებულობა მწარმოებლებს შორის სანქციებზე გვერდის ავლის მეთოდებზე და მათთან ბრძოლის მექანიზმებზე, გააუმჯობესა მონიტორინგი და გამჭვირვალეობა, ამან შეამცირა რუსეთის შემოსავლები და გაზარდა გლობალური ენერგეტიკული უსაფრთხოების შენარჩუნების უფრო ფართო მიზნების მიღწევის შესაძლებლობები.

2022 წელს, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, ევროკავშირმა მნიშვნელოვნად შეამცირა დამოკიდებულება რუსულ ნავთობსა და გაზზე. ევროკავშირში რუსული ნავთობის იმპორტის საფასური 4.6 მილიარდი ევროდან 0.8 მილიარდ ევრომდე შემცირდა 2022-2023 პერიოდში, ნავთობის საშუალო თვიური იმპორტის მოცულობა კი იგივე პერიოდზე 8 მილიონი ტონიდან 1.8 მილიონ ტონამდე შემცირდა (EU imports of energy products). გამსაღწებით მიწოდებული რუსული ბუნებრივი გაზის წილი ევროკავშირის გაზის იმპორტში 40%-დან 8%-მდე დაეცა 2021-2023 წლებში, თუმცა თუ გავითვალისწინებთ რუსული გათხევადებული ბუნებრივი გაზის (LNG) წილსაც, ჯამურად 15%-ით ნაკლები გამოდის რუსეთის წილი ევროკავშირის გაზის მოხმარებაში (Where does the EU's gas come from?). რუსეთიდან ევროკავშირის ქვეყნებში ბუნებრივი გაზის იმპორტის საფასური 4.2 მილიარდი ევროდან 1.2 მილიარდ ევრომდე შემცირდა 2022-2023 პერიოდში, ხოლო LNG იმპორტის საფასური 1.3 მილიარდი ევროდან 0.7 მილიარდ ევრომდე შემცირდა იგივე პერიოდში.

ევროკავშირის ქვეყნებიდან ზოგიერთი უფრო მეტადაა ენერგეტიკულად რუსეთზე დამოკიდებული, ვიდრე სხვები. მაგალითად: უნგრეთი ავრძელებს რუსეთისგან ბუნებრივი აირის მნიშვნელოვანი რაოდენობით იმპორტს მიღსაღწენებით, სლოვაკეთი და ჩეხეთი ასევე დამოკიდებული არიან რუსულ გაზზე, მაგრამ წინა წლებთან შედარებით - ნაკლებად. უნგრეთი და სლოვაკეთი, კვდავ იღებენ რუსულ ნავთობს „დრუჟბას“ მიღსაღწენით, თუმცა საერთო მოცულობა შემცირდა. ენერგეტიკული წყაროების დივერსიფიკაციის შეთანხმებულმა ძაღისხმევამ, გაძლიერებული ინიციატივებით, როგორიცაა REPowerEU გეგმა, გადა-

მწყვეტი როლი ითამაშა ევროკავშირის რუსული წიაღისეული სანვავზე დამოკიდებულების შემცირებაში. ეს სტრატეგიული ცვლილება არა მხოლოდ აძლიერებს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, არამედ თანხვედრაშია ევროკავშირის გრძელვადიან მიზნებთან განახლებადი ენერჯის წყაროებზე გადასვლასა და კლიმატური რეაქციის მიზნების მიღწევაში 2050 წლისთვის.

რუსეთი ენერგორესურსებს პოლიტიკურ იარაღად იყენებს მისი პარტნიორ ქვეყნების წინააღმდეგაც, მათზე სრული ზეგავლენის მოსაპოვებლად. ბელარუსი, რომელიც რუსეთის მთავარ სატერიტორიულ წარმომადგენს ევროპაში, გაცილებით დაბად ფასად იღებს გაზს, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნები, თუმცა 2010-იანი წლების დასაწყისში, როგორც კი ბელარუსმა მეტი დამოუკიდებლობის სურვილი გამოთქვა, „გაბზრომმა“ გაუზარდა ფასი (Belarusian-Russian relations 2020-2021).

დასკვნა

რუსეთი ისტორიულად იყენებდა ენერგორესურსებს, როგორც სტრატეგიულ გეოპოლიტიკურ ინსტრუმენტს, სხვა ქვეყნებზე გავლენის მოსახდენად. მისი სტრატეგია მოიცავდა სხვადასხვა ტაქტიკას, მათ შორის: დიფერენცირებულ საფასო პოლიტიკას, მიწოდების შეწყვეტას, ადგილობრივი ენერგოინფრასტრუქტურის დაუფლებას, გრძელვადიან კონტრაქტებს, საბოტაჟს და ა.შ. რუსეთი ენერგორესურსებს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდა არა მხოლოდ ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ, არამედ მისი პარტნიორი სახელმწიფოების - ბელარუსის და სომხეთის მიმართაც.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების - საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება განსხვავებულია და ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუ საქართველომ წარმატებით მოახდინა რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირება, სომხეთი ჯერ კიდევ რჩება კრიტიკულად დამოკიდებული მასზე, ხოლო აზერბაიჯანი თვითკმარია - როგორც გაზის, ისე ნავთობის რესურსებით.

რუსეთმა, მიმდინარე ომის და სანქციების გამო, მნიშვნელოვნად გაზარდა აზერბაიჯანში გაზისა და ნავთობის ექსპორტი, რომელიც ორივე ქვეყნისთვის მომგებიანია. ერთი მხრივ, რუსეთმა გადმოამისამართა ევროპის ბაზრისთვის განკუთვნილი გაზის და ნავთობის ნაწილი და, მეორე მხრივ, აზერბაიჯანი საკუთარ მოხმარებას რუსული რესურსებით დაიკმაყოფილებს, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში და გაზრდის ადგილობრივი გაზის და ნავთობის ექსპორტს ევროპის ბაზარზე. აზერბაიჯანი ცდილობს დააბაღანოს რუსეთზე დამოკიდებულება საერთო ინტერესებით, რათა არ გაზარდოს რისკები ქვეყნისთვის - როგორც ენერგეტიკული, ისე ეროვნული უსაფრთხოების მიმართულებით.

ისტორიულად რუსეთი იყო ევროპის ბუნებრივი გაზის ერთ-ერთი უმსხვილესი მიმწოდებელი, რომელიც ევროკავშირის გაზის იმპორტის 40%-ზე მეტს იკავებდა, ბოლო წლებში მასზე დაწესებულ სანქციებამდე. ევროკავშირმა 2009 წლის ენერგეტიკული კრიზისის შემდეგ დაიწყო ზომების მიღება, რათა გაეძლიერებინა წვერი სახელმწიფოების და საერთო ენერგეტიკული უსაფრთხოება. მესამე ენერგეტიკული პაკეტის მიღებას მოჰყვა ენერგეტიკული კავშირის სტრატეგია (Energy Union Strategy), რომელიც მიზნად ისახავდა: გაზისა და ნავთობის მიწოდების წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიკაციას, კრიზისების მართვის გაუმჯობესებასა და სოლიდარობის მექანიზმის ჩამოყალიბებას, ენერჯის სტრატეგიული მარაგების შექმნას, ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურის განვითარებას, შენობების განახლებას, ენერგოეფექტურ და განახლებად, სუფთა ტექნოლოგიების ხელშეწყობის პოლიტიკებს. ამას მოჰყვა დირექტივებისა და რეგულაციების მეოთხე პაკეტის „სუფთა ენერჯია ყველა ევროპელისთვის“ მიღება 2018 წელს, ხოლო 2019 წელს ყველაზე ამბიციური სტრატეგიის - „მწვანე შეთანხმების“ დამტკიცება. 2022 წელს უკრაინაში რუსეთის შეჭრას მოჰყვა სანქციების რიგი პაკეტები და ახალი ენერგეტიკული გეგმა - REPowerEU, რომელიც პირდაპირ მოუწოდებდა წვერი სახელმწიფოებს შეემცირებინათ რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება. ევროკავშირმა 2022 წელსვე მიიღო გამსაცავების შესახებ რეგულაცია (EU)2022/1032, რომელიც აწესებდა ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მინიმალურ მაჩვენებლებს, სოლიდარობის მძლავრ მექანიზმს და გაზის ერთობლივი შესყიდვის წესს.

ამას გარდა, ევროკავშირი აქტიურად უწყობდა ხელს ისეთ დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას, როგორებიცაა: სამხრეთ გაზის დერეფანი, არსებული LNG-ის ტერმინალების განახლება და ახლის მშენებლობა; გააფორმა ხელშეკრულებები დამატებითი გაზის იმპორტზე ნორვეგიასთან, ადჟირთან, კატართან და მნიშვნელოვნად გაზარდა იმპორტი აშშ-დან. შუა დერეფნის იდეის გაცოცხლება და განვითარება მნიშვნელოვნად გაზარდის ევროკავშირის თანამშრომლობას ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან და შეასუსტებს რუსეთის გავლენას მათზე. ეს რეგიონები მდიდარია წიაღისეული და განახლებადი ენერჯორესურსებით, კრიტიკული მინერალებით, რაც დაეხმარება ევროპას მწვანე ენერჯიაზე გადასვლის პროცესში და კიდევ უფრო გაზარდის ენერგეტიკული უსაფრთხოების დონეს. მიუხედავად ამ ძალისხმევისა, რუსული ენერგეტიკისგან თავის დაღწევა ეტაპობრივი და რთული პროცესია, არსებული ინფრასტრუქტურის მასშტაბისა და რიგი გამონკვევების გათვალისწინებით. ევროკავშირმაც გამოიყენა რუსეთის ეკონომიკის მასზე კრიტიკული დამოკიდებულება და სანქციების პაკეტები სწორედ ამ ბერკეტების გამოყენებით გააძლიერა.


რუსეთმა, დაწესებული სანქციების გამო, მნიშვნელოვნად შეამცირა წიაღისეული ენერჯორესურსების ექსპორტი ევროპაში და გაზარდა აზიის ქვეყნებში. რთული დასაჯერებელია, მაგრამ, ფინანსური კრიზისის ფონზე, რუსეთი გეგმავს LNG-ის ინფრასტრუქტურის

განვითარებას, რათა გაზარდოს ხელმისაწვდომობა იმ ბაზრებზე, სადაც შეზღუდულია არსებული გაზსადენების სიმძლავრეები.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს აქვს გაზისა და ნავთობის უზარმაზარი მარაგები და წარმოების შესაძლებლობები, მისთვის პრობლემებს ქმნის მოძველებული ინფრასტრუქტურა, რომელიც იწვევს არაეფექტიანობას და უსაფრთხოების პოტენციურ რისკებს, ასევე გამოიწვევს წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვა ახალი საბადოების განვითარების და არსებული ობიექტების შენარჩუნებისთვის. გარდა ამისა, საერთაშორისო სანქციებმა შეზღუდა რუსეთის წვდომა დასავლურ ტექნოლოგიასა და ფინანსებზე, რაც ართულებს ინდუსტრიის მოდერნიზაციის პროცესს.

2023 წლის სექტემბერში რუსეთმა აკრძალა ბენზინისა და დიზელის ექსპორტი შიდა ეფიციენტის გამო, რომელიც გამოწვეული იყო რუბლის გაუფასურებით და გადაიმუშავებელი ქარხნების ინფრასტრუქტურის შეფერხებით, რისი მიზეზიც უკრაინული დრონების მიერ ინფრასტრუქტურაზე მიტანილი იერიში და სემონური სარემონტო სამუშაოები იყო. სანქციებმა რუსეთი აიძულა ნავთობის და ნავთობპროდუქტების გასაღების ვეროპული ბაზრიდან აზიაში გადაენაცვლებინა. აზიაში, შეზღუდული სარკინიგზო და მიღსადენების სიმძლავრეების გამო, გაზარდა საზღვაო გადაზიდვები.

მნიშვნელოვანია რუსეთზე ენერგეტიკულად დამოკიდებულმა ქვეყნებმა სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან მაინც ისწავლონ, რომ რუსეთი ყოველთვის ეცდება ამ დამოკიდებულების პოლიტიკური მიზნით გამოყენებას, როგორც კი დასჭირდება. ამისთვის საჭიროა ისეთი ზომების განხორციელება, როგორიცაა: ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითარება და დანერგვა ენერჯის მინოღება-მოხმარების მთელ ჯაჭვში, სადაც ენერჯის დაზოგვის მნიშვნელოვანი პოტენციადი არსებობს; შეამცირონ ენერჯის იმპორტი და მოახდინონ გარე მიწოდების წყაროების ოპტიმიზაცია, გამჭვირვადე და კონკურენტულ გარემოში მოქცევა და მიწოდების ახალი ადტერნატივების განვითარება; შექმნან სტრატეგიული მარაგები (გაზისა და ნავთობის საცავები), რაც დაეხმარება სემონური მოთხოვნის დაბადანსებასა და იმპორტის დარეგულირებაში კრიზისების დროს; დაიცვან კრიტიკული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა კინეტიკური და კიბერსაფრთხეებისგან, რისი რისკებიც რეალურია რუსეთის სიბერძული ომის პირობებში; მნიშვნელოვანია, რომ ენერგეტიკის სექტორში კომპეტენტურმა ორგანოებმა კოორდინირებული თანამშრომლობით სისტემატურად შეაფასონ არსებული და მოსადლოდნედი რისკები და სცენარები და მოამზადონ შესაბამისი სამოქმედო გეგმები.



ბიბლიოგრაფია

- Belarusian-Russian relations 2020-2021. (თ. გ.). დაბრუნებული
https://studium.uw.edu.pl/wp-content/uploads/2022/01/Raport_Bialorus_2021_2EN.pdf-დან
- CIA, Azerbaijan. (თ. გ.). დაბრუნებული
<https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/azerbaijan/#energy>-დან
- CIA, Russia. (თ. გ.). დაბრუნებული 2024 წლის 1 August, www.cia.gov:
<http://cia.gov/the-world-factbook/countries/russia/#energy>-დან
- EIA, Country Analysis Brief, Russia. (2024). დაბრუნებული www.eia.gov:
https://www.eia.gov/international/content/analysis/countries_long/Russia/pdf/russia.pdf-დან
- EU imports of energy products. (თ. გ.). დაბრუნებული
https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?oldid=554503#Main_suppliers_of_petroleum_oils.2C_natural_gas_and_coal_to_the_EU-დან
- Gas Transportation. (თ. გ.). დაბრუნებული Ministry of Energy of Azerbaijan:
<https://minenergy.gov.az/en/qaz/cenubi-qafqaz-boru-kemeri-cqbk>-დან
- Gazprom Armenia. (თ. გ.). დაბრუნებული In 2021 CJSC Gazprom Armenia imported 2,449.2 million cubic meters of natural gas, :
<https://armenia.gazprom.com/press/news/2022/02/73/>-დან
- IEA, Armenia Energy Profile. (თ. გ.). დაბრუნებული
<https://iea.blob.core.windows.net/assets/55834e18-f66e-4642-aed2-7ebff9c54c2c/ArmeniaEnergyProfile.pdf> -დან
- IEA, Azerbaijan Energy Profile. (2023). დაბრუნებული
https://iea.blob.core.windows.net/assets/0528affc-d2ba-49c9-ac25-17fc4e8724f7/AzerbaijanEnergyProfile_2023.pdf-დან
- IEA, Energy Statistics . (თ. გ.). დაბრუნებული www.iea.org:
<https://www.iea.org/data-and-statistics/data-tools/energy-statistics-data-browser?country=%5Bobject%20Object%5D&energy=Balances&year=2021>-დან

Mukhigulishvili, G. (2023). The Growing Importance of the Middle Corridor as an Energy Transport Route, and Opportunities for Azerbaijan and Georgia. დაბრუნებული [https://cspjournal.az/uploads/files/CSP%20Winter%202023/Giorgi%20Mukhigulishvili%20-%20pg%2013-38%20\(FINAL\)-დაბ](https://cspjournal.az/uploads/files/CSP%20Winter%202023/Giorgi%20Mukhigulishvili%20-%20pg%2013-38%20(FINAL)-დაბ)

Petroleum Gas in Armenia. (თ. გ.). დაბრუნებული The Observatory of Economic Complexity: <https://oec.world/en/profile/bilateral-product/petroleum-gas/reporter/arm-დაბ>

Shah Deniz project. (თ. გ.). დაბრუნებული <https://www.sgc.az/en/project/sd-დაბ>

Upstream . (2021). დაბრუნებული Deep-water friendship: Turkmenistan and Azerbaijan bury Caspian Sea hatchet: <https://www.upstreamonline.com/politics/deep-water-friendship-turkmenistan-and-azerbaijan-bury-caspian-sea-hatchet/2-1-949189?zephrossoott=YiinEQ-დაბ>

WEG: რუსეთთან შეთანხმება ერთი-ერთზე ფორმატში არ უნდა წარმართულიყო. (2017). დაბრუნებული ტაბულა: <https://tabula.ge/ge/news/593371-weg-rusettan-shetankhmeba-erti-ertze-pormatshi-ar-დაბ>

Where does the EU's gas come from? (თ. გ.). დაბრუნებული <https://www.consilium.europa.eu/en/infographics/eu-gas-supply/-დაბ>

გოჩიტაშვილი, თ. (2012). საქართველოს ენერჯეტიკა. გაზის სექტორის განვითარების პრიორიტეტები. Tbilisi.

საგარეო ვაჭრობის პორტალი. (თ. გ.). დაბრუნებული [www.geostat.ge: https://ex-trade.geostat.ge/ka-დაბ](https://ex-trade.geostat.ge/ka-დაბ)

სემევი, წლიური ანგარიში. (2024). დაბრუნებული <https://gnerc.org/files/Annual%20Reports/Annual%20Report%202023%20GEO.pdf-დაბ>

სომხეთი, 2021 წლის ენერჯეტიკული ბალანსი. (თ. გ.). დაბრუნებული IEA, Energy Statistics Data Browser: <https://www.iea.org/data-and-statistics/data-tools/energy-statistics-data-browser?country=%5Bobject%20Object%5D&energy=Balances&year=2021-დაბ>